



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030446804839719

№ 04-368/თ

21 / თებერვალი / 2019 წ.

**საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N665 დადგენილებით
დამტკიცებული „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების
სახელმწიფო პროგრამის“ შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის
მიმდინარეობის ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N665 დადგენილების, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 07 თებერვლის N04-276/თ ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 03 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“, სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჯეროვან შესრულებაზე კონტროლის მიზნით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი), შემდეგი შემადგენლობით:

ა) მარინა ბეზარაშვილი - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის უფროსი;

ბ) ბეჟან ლორთქიფანიძე - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ჯგუფის წევრი;

გ) პაატა ჩივიაშვილი - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის დასაქმების პროგრამების სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი;

დ) ნინო აგაშენაშვილი - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი;

ე) მარინე გოჩიტაშვილი - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (მხარდაჭერითი დასაქმების კოორდინატორი), ჯგუფის წევრი;

ვ) ბაკურ ჯანიაშვილი - სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ზ) ნაილი გიორგაძე - სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

თ) დავით ივანიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის

დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

2. დაევალოს ჯგუფს:

ა) „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის მიმდინარეობაზე ზედამხედველობის განხორციელება;

ბ) სააგენტოს სახელით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით მიმწოდებლების მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ინსპექტირება, ხელშეკრულებების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, საჭიროებების შესაბამისად;

გ) სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 07 თებერვლის N04-276/ო ბრძანების მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი/პასუხისმგებელი პირების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის სამუშაო ფორმატში განხილვა, ინსპექტირების აქტის შედგენა და შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში გადაგზავნა, დამსაქმებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მიზნით, შემდგომი ანაზღაურების განხორციელებისთვის.

3. სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის, ჯგუფის უფროსის (მ. ბეზარაშვილი) არყოფნის შემთხვევაში, ინსპექტირების ჯგუფის უფროსის მოვალეობის შესრულება დაეკისროს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს (ბ. ლორთქიფანიძე).

4. კონტროლს ბრძანების შესრულებასა და ინსპექტირების ჯგუფის საქმიანობაზე განხორციელებს სააგენტოს დირექტორის კურატორი მოადგილე (ლ. გოგოძე).

5. დაევალოს:


ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ინსპექტირების ჯგუფის წევრებისთვის, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის („დეს“) მეშვეობით;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მიმდინარეობის ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 09 მარტის 04-158/ო ბრძანება.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

თამაზ მოდებაძე